# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 23 მარტი 1998 №42 (577) ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 18 ტური

**გუშინ**

ლოკომოტივი 0:1 ბათუმი
გურია 1:1 ოდიში
მაღაროელი 1:2 კოლხეთი
მეტალურგი 1:0 დილა
სიონი 1:0 თსუ

**დღეს**

სამგურალი - მერანი

**ხვალ**

ვიტ ჯორჯია - ტორპედო
დინამო - მარგვეთი
მცხეთა, „არმაზი"

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 14 | 2 | 1 | 43:7 | 39 |
| ბათუმი | 18 | 11 | 5 | 2 | 34:11 | 38 |
| ოდიში | 18 | 11 | 2 | 5 | 27:25 | 35 |
| კოლხეთი | 18 | 10 | 3 | 5 | 38:18 | 33 |
| ტორპედო | 17 | 8 | 6 | 3 | 29:16 | 30 |
| თსუ | 18 | 8 | 4 | 6 | 22:14 | 28 |
| მერანი | 17 | 8 | 4 | 5 | 24:19 | 23 |
| ლოკომოტივი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:25 | 23 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 5 | 7 | 5 | 18:15 | 22 |
| დილა | 18 | 6 | 2 | 10 | 16:26 | 20 |
| სიონი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:22 | 18 |
| რუსთავი | 18 | 6 | 0 | 12 | 16:31 | 18 |
| სამგურალი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:33 | 18 |
| გურია | 18 | 3 | 6 | 9 | 20:36 | 15 |
| მაღაროელი | 18 | 3 | 2 | 13 | 14:41 | 11 |
| მარგვეთი | 17 | 1 | 4 | 12 | 13:40 | 7 |

„დინამოს", „მერანს" და „სიონს" დაკლებული აქვთ 5-5 ქულა.

სხვა მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე გვერდზე




გუშინ ვაკეში: „ლოკომოტივი" — „ბათუმი".
ტოგონიძემ და შეყილაძემ (№5) ხუციშვილის შეტევა ჩაშალეს

## სირცხვილი სოჭში
### დინამოს ცული რას დააკლებდა

თბილისის „დინამომ" სირცხვილი ჭამა. სლავა მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილ მატჩში 1:4 დამარცხდა სოჭის „ჟემჩუჟინასთან".

რუსები გუნდის ლიდერმა თემურ ბაგატირიოვმა დააწინაურა, მაგრამ „დინამომ" რატი ალექსიძის ბრწყინვალე გოლით გაათანაბრა. ბაგატირიოვმა ერთიც გაიტანა, ჩვენს ჩემპიონს კი ბოლო სოჭელთა შავკანიანმა და ქართველმა ლეგიონერებმა მოუღეს. ქართველთაგან ორივემ ითამაშა, მაგრამ გოლის ავტორი გიორგი გოგიაშვილი შეცვლაზე შევიდა, გოჩა გოგრიჭიანმა ტრავმა მიიღო და თამაში არ დასცალდა. „დინამომ" სუსტად ითამაშა, ამას თბილისელები მინდვრის საშინელ საფარს აბრალებენ.

მატჩი კი ხსოვნისა იყო და ასეთთა ბოლო ხშირად ფრეა. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ერთ-ერთმა მოიგო, მაგრამ ეს ჩვენთვის არასასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ. რა თქმა უნდა, საქართველოს ჩემპიონი რუსეთის პირველი ჯგუფიდან გავარდნას ძლივს გადარჩენილ გუნდთან დიდი ანგარიშით რომ არ უნდა აგებდეს. თუმცა თბილისელთა მარცხს გამართლებაც აქვს, შაბათს სოჭმოვლილ „დინამოს" ხვალ მცხეთაში „მარგვეთთან" აქვს სათამაშო. ერთიცაა, სოჭელმა ქართველებმა, ჩანს, მოინდომეს ძველი ტკბილი დროის გახსენება, „დინამოსთვის" საქართველოში ყოფნისას რომ გაჰქონდათ. მოკლედ, იქნებ ასეც ითქვას, ცული რას დამაკლებდაო...

## იყო და არა იყო რა

ევროპის ჩრდილო-დასავლეთით არის ერთი პატარა, ლამაზი სახელმწიფო. მას ზოგი ნიდერლანდებს ეძახის, ზოგიც — ჰოლანდიას. მოდით, ჩვენ ამთავითვე შევთანხმდეთ, რომ ტიტების ქვეყანა ჰოლანდიად მოვიხსენიოთ. მოკლედ, არის ასეთი ქვეყანა და ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად იქაურებს ფეხბურთის თამაშიც ეხერხებათ. ჩვენში დარჩეს და არცთუ ურიგოდ. მათ ბურთაობა ლამის ასი წლის წინ ისწავლეს. მას შემდეგ კი ოსტატდებიან და ოსტატდებიან. ერთი ეგაა, ახლა ისე თამაშობენ, იფიქრებ ბურთი თვალით არ უნახავთო. თითქმის საუკუნის წინ ჰოლანდიელმა ბიჭებმა გაერთიანება დაიწყეს და ასე, ნელნელა, იქმნებოდა გუნდები. ზოგმა იმთავითვე დაიპყრო საფეხბურთო მწვერვალები, უმეტესობა კი საშუალო დონეს ვერ ასცდა. ეს კლუბები დახლოებით ისეთები იყვნენ, მუდამ თავის გამოჩენა რომ სურთ, მაგრამ საამისოდ გარჯა რომ ეზარებათ. ისინი ამაოდ ეპოტინებოდნენ სხვების ძიერ წლობით მოპოვებულს. კლასი კი თავისას შერებოდა, ალზევების საშუალებას არ იძლეოდა, აი, გამორჩეულნი კი...

წლების მანძილზე იქმნებოდა ბრწყინვალე „აიაქსი", ისევე, როგორც „ბრედა", მაგრამ, პირველისგან განსხვავებით, ამ უკანასკნელს მუდამ რაღაც აკლდა. ისე, გულახდილნი რომ ვიყოთ, დღესდღეობით არც ერთია სრულყოფილი.

ჰოდა იმას ვამბობდი გუშინ ბრედაში ზემოხსენებული გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მეთქი. თითქოს ფეხბურთიც უნდა გვეხილა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ასე არ მოხდა. არ დავიმალავთ და გეტყვით, რომ ბრედაში სტადიონიც იყო, მაყურებლებიც, გუნდებიც, მეტიც, მსაჯი და ბურთიც, მაგრამ არ ყოფილა ის, რის სანახავადაც დადის გულშემატკივარი სტადიონზე. ეს ფეხბურთი კი არა, რაღაც მსგავსი თამაში გახლდათ, რომლის მოწმენიც ამ ბოლო დროს ხშირად ვხდებით.

ბრედაში იყო აჩიც, ტყუპისცალ შოთას რომ მასპინძლობდა, იყო ამსტერდამელთა ჩამომხმარი კაპიტანი დენი ბლინდი, თავი ყველას უფროსად რომ მიაჩნდა და აღშფოთებულს ნერვები გაფრთხილებით რომ დაუოკეს, იყო უქნარა დინ გორი, რომელმაც თავადაც არ იცოდა რა სურდა, იყო თავგადაპარსული, ვერცხლისწყალივით მოუსვენარი ერნი სტიუარტი, იყო დიდი დანიელი მიქაელი, იყვნენ ქართველი ძმები აჩი, შოთა, და მაინც არ იყო ფეხბურთი.

რომ არ ყოფილიყო შოთა, ალბათ, გოლიც არ იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ბრწყინვალე ვან დერ სარი, ალბათ, აჩის გოლიც იქნებოდა, მაგრამ იყო დიდებული აიაქსელი მეკარე და არ იყო ბრედელი ქართველის გოლი. სამაგიეროდ, იყო ლაუდრუპი და შოთას სიხარული.

ფეხბურთის მშვენება გოლია, კარის ბადეში აფართხალებული ბურთი. იყვნენ მოთამაშეები, მაგრამ 85 წუთის მანძილზე არ ყოფილა გოლი. თუმცა გამოხდა ხანი და ამის დროც დადგა:

აიაქსელთა 24-ე ნომერი (შოთა) სტუმართმოყვარე მასპინძელთა საჯარიმოსთან დატრიალდა, თვალი ლაუდრუპს ჰკიდა, მრავლისმნახველმა მიქაელმა კი სამაგიერო ძღვენი მიართვა შოთას — დანარჩენი თავად ქართველი თავდამსხმელის საქმე იყო. ბრწყინვალედაც დასრულდა ეს ყველაფერი. ისე, დიდი, სახელოვანი ფორვარდები რომ ამთავრებენ ხოლმე. მალე მეორედაც შეირხა მასპინძელთა კარის ბადე, მაგრამ ეს უფრო ორი წუთის წინ მომხდარის ლოგიკური გაგრძელება იყო.

საბოლოოდ, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — ევროპის უკიდურესი აღმოსავლეთის, ცივი, თოვლიანი ქვეყნის შვილებთან შერცხვენილ „აიაქსს" თავის სიტყვა უნდა ეთქვა. მართალია, თამამად ვერა, მაგრამ მაინც თქვა.

...გუშინ, ტიტების ქვეყანაში, „აიაქსი" თამაშს ცდილობდა და თავის თავს სულაც არ ჰგავდა. თუმცა, ახლა თუ არა ეგებ უახლოეს მომავალში მაინც მოწყვიტოს ძველებურად ვარსკვლავები, ვინ იცის?

**ლაშა გოდუაძე**

## კალიები გაწითლდნენ

...თუ ვერ მოიგებ, ან წააგებ, ან ფრეს ითამაშებ — ელემენტარული ჭეშმარიტებაა, არა? ჰოდა, შვეიცარიის ჩემპიონატის მორიგ ტურშიც ასე მოხდა. ჩვენებურების „გრასჰოპერმა" თავი შეირცხვინა. შინ, მიუხედავად დიდი უპირატესობისა, „სენტ გალენს" ვერაფერი მოუხერხა და ორ გატანილს ამდენივე გაშვებული მიაყოლა. „სენტ გალენი" არაა ის გუნდი, ციურიხელებს სტამრად ფრე გაუგორონ, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩემპიონატის ბოლო ახლოვდება. ბედად „გორას-ჰოპერის" უმთავრესმა კონკურენტმა „სერვეტმაც" ფრედ ითამაშა, ოღონდ გასვლაზე და ქულათა სხვაობა ისევ ორქულიანი დარჩა. გიორგი ნემსაძესთანაც ამან დაგვარეკინა.

— უამრავი მომენტი ვერ გამოვიყენეთ — გვითხრა ნემსომ — იმდენი საგოლე სიტუაცია გავაცუდეთ, სამ თამაშსაც ეყოფოდა. ბედი არ გვწყალობდა. ისე, ამინდმაც თავისი ქნა, წვიმა, ტალახი, უბედური ქარი, ბურთს ვერ ვიმორჩილებდით. მეტოქემაც ისარგებლა, დაცვაში ჩაჯდა და გოლებიც შეგვიგდო.

**— პირველ ტურში წაგება, ახლა ფრე. ჩემპიონობას აღარ აპირებთ?**

— არც მაშინ გვქონდა წასაგები მატჩი. მწვრთნელმა მე გამომცვალა ყველათი. ბოლო დროს რაღაც არეულები ვართ, არ ვიცი, რაშია საქმე. თუმცა, საგანგაშო არაფერია, დროებითია ყველაფერი.

**— ხომ კარგად ხართ. მწვრთნელთან ურთიერთობა ძველებურია?**

— რა თქმა უნდა, ორივე კარგად ვთამაშობთ და აქაურებიც კმაყოფილები არიან. სასაყვედუროდ საბაბი არ მიგვიცია.

**— „ლოზანამ" რომ წააგო, კონკურენტი ჩამოგშორდათ საჩემპიონო ბრძოლაში.**

— კარგი იყო მათი წაგება. ახლა შვიდქულიანით ვუსწრებთ, აღარ მგონია, დაგვეწიონ, მაგრამ გამორიცხული არაფერია. „ლოზანაზე" საშიში „სერვეტია", ამასთან ორი ქულა ბევრს არაფერს ნიშნავს. ერთი წაფორხილებაა საკმარისი.

**— ყაველაშვილზე ახალი არაფერია? „სიტი" არ შეხმიანებია?**

— ჯერჯერობით არავის ამოუღია ხმა. მიშას საკითხი ამ თვის ბოლოს გაირკვევა. ორივე კლუბმა უნდა მოილაპარაკოს. რას იტყვიან ინგლისელები, არც ყაველამ იცის. კარგი იქნება, თუ ისევ შვეიცარიაში დარჩება. მაგარ ფორმაშია, მწვრთნელიც აქებს და გუნდსაც სჭირდება.

**კობა ინასარიძე**

თბილისი
„26 მაისი"
22 მარტი

**ლოკომოტივი 0:1 ბათუმი**

**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, ცოტაძე (ქორქიკაშვილი 25), ერაძე, ბარნოვი, ზ. არჩვაძე, ქვარცხავა, გ. კვეტენაძე, ყაველაშვილი (კოტორაშვილი 72), ხუციშვილი, გოდერძიშვილი, დათუაძე
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე (ფუტკარაძე 89), მინდაძე, სიჭინავა, გ. შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი (მაჭუტაძე 46), სოლოლაშვილი, კანტიძე (აფხაზავა 90), ზირაქიშვილი
0:1 ი. მახარაძე (60)
**გაძევება:** ზირაქიშვილი (50)
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

## ძლევაი საკვირველი
### ბათუმმა ათი კაცით მოიგო

**ვახტანგ ბზიკაძე**

გასაოცარია „ბათუმის" საქციელი. ამ გუნდს შეუძლია „სიონთან" წააგოს, უკვე მეშვიდე წუთზე მოთამაშე გაგდებული „მაღაროელი" მხოლოდ 3:0 დაამარცხოს და ამავე დროს გმირობაც ჩაიდინოს — 40 წუთს კაცნაკლულად მოთამაშემ „ლოკომოტივს" აჯობოს.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა ჯობნაზეა ლაპარაკი. ათკაციანმა „ბათუმმა" გუშინ ვაკეში 1:0 მოუგო რკინიგზელებს. არადა, თამაშით მართლა თბილისელები სჯობდნენ, მაგრამ თამაში გოლისთვისაა. იმ გოლისთვის, რომელიც გუშინ ბათუმელებმა გაიტანეს, თბილისელებმა კი — ვერა.

მეორე ტაიმი ხუთი წუთის დაწყებული ძლივს იყო, სტუმართა ეულმა ფორვარდმა ზირაქიშვილმა მარტივ სიტუაციაში გაფრთხილება რომ დასტყუა მერაბ მალაღურაძეს. ზაზას, ეტყობა, ეს ეცოტავა, ყველაზე მკაცრ ქართველ არბიტრს გინება შეჰბედა და წითელ შუქზე გასახდელისკენ გაემართა. ზირაქიშვილმა თავისი ახალი გუნდი დააღალატა. ასე ჩანდა უცაბედად, ერთი შეხედვით, მაგრამ აქამდე ჩათვლემილი „ბათუმი" ამან გამოაღვიძა და სიფხიზლემ გოლიც მოუტანა.

დებულებით ახლა ყველა სტადიონზე ფაქსი უნდა იდგეს. უნდა იდგეს და არ დგას. ამბობენ, ფედერაცია განკუთვნილ ფაქსებს მანამ არ იძლევა, სანამ გუნდი „იზოსტარის" პარტიას არ შეიძენსო. ეს ყურმოკვრით, იქნებ მოჭორილადაც, ნაღდი კი ისაა, „ლოკომოტივის" სტადიონზე მისულთ ფაქსი კი არა, ქსეროქსიც არ ხვდებათ, გუნდების შემადგენლობების მოსაპოვებლად მსაჯთა ოთახში შეჭრა რომ არ დასჭირდეთ. არადა, ამას თსუ ახერხებს, რომელსაც მიმბაძველი არ გამოუჩნდა.

თავისთავად, სამატჩო განაცხადის მოპოვება პრობლემა იშვიათად თუ გახდება. მსაჯები და კომისარი ხშირად თავაზიანად გვიწვდიან დახმარების ხელს. ეს მაშინ, როცა შეუძლიათ თამაშის სამზადისში თავიც არ შეიწუხონ. თუმცა ეხლა ამ თემის წამოტივტივება სხვამხრივ დამჭირდა. უნებურად ერთი ნათქვამის მომსმენი შევიქენი. ბათუმელთა მწვრთნელის თანაშემწე იური მამინაშვილი მანამ ელოდა ლოკომოტიველ კოლეგა მერაბ ხუცურაულს, ვიდრე გამოჩნდებოდა და განაცხადის სათავისო, მარცხენა მხარეს შეავსებდა. ჯერ ერთი, წესია, და მეორეც, ცუდად მაქვს დაცდილი. ის ვერ მომინელებია, ბოლნისში წესს რომ არ მივსდიე, შემადგენლობა პირველმა ჩავწერე და წავაგეთო. ცრურწმენის რა მოგახსენოთ, ბევრი ფეხბურთელი იმასაც კი აქცევს ყურადღებას, პირველად რომელი ბუთის თასმას შეიკრავს. ფაქტი კაა, მამინაშვილს ნებისყოფა დაუფასდა — „ბათუმმა" მძიმე მატჩი მოიგო.

არადა, პირველი ტაიმი უფრო მოსალოდნელ ნულოვან ფრეზე ლაპარაკობდა. პირველ ოც წუთში „ბათუმმა" ორჯერ დაარტყა კარის ოდენ მხარეს — სიჭინავამ ორჯერვე ძლიერ ააცილა კარს. ერთხელაც ზირაქიშვილმა დაურტყა ადრიანად გადამხტარ ვოლკოვს, მაგრამ მასპინძლები ზურაბ არჩვაძის თავურმა გადაარჩინა.

„ლოკომოტივი" პირველად 37-ე წუთზე დაემუქრა ტოგონიძის კარს. ყოფილმა „დინამო 2"-ელმა ზურაბ ხუციშვილმა რამდენჯერმე გაცრა ბურთი ფეხებშუა და საჯარიმოს ხაზის სიახლოვიდან დარტყმის უფლება მოიპოვა. თბილისელთა კაპიტანმა გიორგი კვეტენაძემ პირველად დაარტყა სტუმართა კარისკენ, მაგრამ გვარიანადვე ააცილა.

მეორე ტაიმი სტუმრებმა იმედიანად დაიწყეს. ეს იმედი ავთანდილ ღლონტის მაგივრად გამოჩენილი პაატა მაჭუტაძე იყო. პაატამ, როგორც იქნა, ნაოპერაციევი ფეხი მოირჩინა და ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს. მაჭუტაძე „ბათუმის" იმედიცაა, ძალაც, გონიც და მოხერხებაც. გუშინდელ თამაშიც მან მოაგებინა სტუმრებს, თორემ დანარჩენები საჯარიმოდან ბურთის გამოტანას მოუნდნენ ისე, რომ მეტოქის მინდორზე ხეირიანად ვერც გადადიოდნენ. სწორადაც მოიქცა „ბათუმი". დაცვამ, რომელიც დარჩენილ 9 კაცს შეადგენდა, გოლი არ გაუშვა, პაატამ კი კვეტენაძის შეცდომა გამოიყენა, ბურთი ჩაჭრა და საჯარიმოში შეჭრილმა არჩვაძეს პენალტიც აჰკიდა. წინა მატჩის მსგავსად პენალტი ივანე მახარაძემ დაარტყა. მართალია შუაში, მაგრამ მარჯვნივ გადამხტარმა ვოლკოვმა ვერაფერი შეძლო.

გოლს მოპოვებული უპირატესობის შესანარჩუნებლად თამაში მოჰყვა. „ლოკომოტივი" მთელი ძალებით ვერ უტევდა. ორი მცველი მაჭუტაძეს დარაჯობდა და ერთსაც თვალი უფრო მისკენ ეჭირა, ვიდრე შეტევისკენ. თბილისელებმა მაინც გვარიანად დასაჯეს სტუმრები, მაგრამ ქორქიკაშვილის და არჩვაძის სახიფათო დარტყმებს ტოგონიძე დაუხვდა ადგილზე. ბოლო წუთები „ბათუმმა" დარჩენილი ორი შეცვლით გაიყვანა, შეძლო და გმირობა ჩაიდინა — თბილისში „ლოკომოტივს" ათი კაცით მოუგო.

**ლანჩხუთი**
**„ევგრაფი შევარდნაძე"**
**22 მარტი**

**გურია 1:1 ოდიში**

**გურია:** პ. გაბუნია, ფაცურია (ზ. კვეკვესკირი 80), კ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ბუკია, თიბილაშვილი, ქიქავა, განევი, ჩხეტია (ხოსროშვილი 52), ჯ. ბერიძე, ბულუხია
**ოდიში:** სოლოლაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ცქიფურიშვილი, ტყემალაძე (ჯაბუა 76), ებრალიძე, ჩადუნელი, ენდელაძე, გლუნჩაძე, ქოიავა, კალანდაძე
1:0 ფაცურია (19), 1:1 ებრალიძე (37)
**გაფრთხილება:** ფაცურია, ჩადუნელი, თიბილაშვილი
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

# ისევ ფრე

**გოჩა ჯანაშია** ლანჩხუთიდან

ეროვნული ჩემპიონატის დასაბამიდან ლანჩხუთელთა და ზუგდიდელთა ორთაბრძოლა დიდ ინტერესს იწვევდა. მიუხედავად იმისა, რომ ამათ დღეს სხვადასხვა მიზნები აქვთ, თავიდან და ბოლოდან მესამე გუნდების გუშინდელ მატჩში უშელავათო ბრძოლა იყო მოსალოდნელი. მაგრამ დაწყებამდე ერთი საათით ადრე მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ თავისი დაღი დაასვა შეხვედრას და ფეხბურთი წყალბურთს უფრო დაემსგავსა. ცხადი იყო, რომ სველ, ატალახებულ მოედანზე ფეხბურთელებს კომბინაციური თამაშის ჩვენება გაუჭირდებოდათ. ასეც მოხდა, მაგრამ ბრძოლა მართლაც ჟინიანი გამოდგა.

პირველი წუთებიდანვე „გურია" ტრადიციულ ადრეულ გოლს ესწრაფოდა, მაგრამ კინაღამ თავადვე გაუშვა. მეცხრე წუთზე საჯარიმოში მარჯვნიდან ენდელაძის ჩაწოდებას ზუგდიდელთაგან არავინ გამოეხმაურა, მაგრამ გაბუნიამ მოულოდნელად სველი ბურთი ვერ დაიმორჩილა, თუმცა გლუნჩაძემ როგორღაც მოახერხა და ცარიელ კარში დარტყმული ბურთი ხარიხას გადააცილა.

„გურია" სწრაფად მოეგო გონს და მე-15 წუთზე თითქოს იხეირა კიდეც. საჯარიმოში შექმნილი არეულობისას ბურთი მარჯვენა ფლანგზე მყოფმა ბუკიამ მოიგდო, ორი მცველიც მოატყუა და სოლოლაშვილის შორეულ კუთხეში აუღებელი დაურტყა. არბიტრი ფანიაშვილი ცენტრისკენ დაიძრა და მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ თანამსაჯს ალამი აღემართა. რატომ დააფიქსირა მან თამაშგარე, ბევრისთვის გაუგებრად დარჩა. ფანიაშვილი ელიკაშვილს ერთ წუთს ეთათბირა და გოლი არ ჩათვალა.

მალე მასპინძლებმა ანგარიში მაინც გახსნეს, კახა კვეკვესკირის ჯარიმა სოლოლაშვილმა უხეიროდ მოიგერია, დამატებაზე ფაცურიამ იმარჯვა და გურულები დააწინაურა.

გოლის შემდეგ საკმაოდ ხისტი ბრძოლა გაჩაღდა, განსაკუთრებით მოედნის ცენტრში. თანდათან დომინანტად „ოდიში" გვევლინებოდა. 37-ე წუთზე ხლებული რამდენიმე ათეული ქომაგი გაახარა კიდეც. მარცხენა კუთხურის ალმის სიახლოვეს ჯარიმა დაინიშნა. ქოიავას ჩაწოდებული ბურთი დაცვამ კი გამოიტანა, მაგრამ კარიდან ხუთიოდ მეტრში მდგომ ებრალიძეს მიუვიდა და მანაც ვარდნაში დარტყმით იხეირა.

გაშვებული გოლი მასპინძელთა დაღლის ნიშანი იყო. სტუმრებმა კი სწორედ ფიზიკური მომზადების ხარჯზე მოახერხეს ინიციატივის ხელში ჩაგდება. ტაიმის ბოლო ხუთ წუთში ორჯერ შეცდა გაბუნია. ჯერ საჯარიმოს გარეთ ერთიერთზე მიახლოვებულ გლუნჩაძეს ფეხებში ჩაუვარდა და აკრეფილი სიჩქარე დააკარგინა. თავდამსხმელმა მაინც შეძლო დარტყმა, ოღონდ ბურთი ბადეს გარედან შეეხო. მსგავსი სიტუაცია პირველი ნახევრის ბოლო წუთზეც შეიქმნა ამჯერად საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილი გლუნჩაძე წინ გამოსულ მეკარეს გაცდა, მაგრამ დარტყმა დააყოვნა და კახა კვეკვესკირმა სიტუაცია განმუხტა.

მეორე ტაიმის პირველ ოც წუთში დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა. აი, 70-ე წუთიდან კი მოედანზე მდგომარეობა საკმაოდ დაიძაბა. გურულებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და მარცხნივ მცველთაგან უყურადღებოდ დატოვებულ ფაცურიას გადააწოდეს, რომელიც საჯარიმოში კი შეიჭრა, მაგრამ ფეხებში ჩავარდნილ ლურსმანაშვილს წამოედო და დაეცა. მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ.

სადავო მომენტის შემდეგ მსაჯმა მატჩის სადავეები თითქოს ხელიდან გაუშვა, მაგრამ ეყო ძალა და თამაში სასურველ კალაპოტში გადააგდო.

ბოლო წუთები დრამატიზმით აღსავსე გამოდგა. ჯერ იყო და მთელი მატჩის განმავლობაში აქტიური ზვიად ენდელაძის 86-ე წუთზე საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი რევაზ გლუნჩაძემ კარისკენ თავით გადაგზავნა, მაგრამ ამჯერად მასპინძელთა გოლკიპერ პაატა გაბუნიას მშვენიერად ხარიხა მოევლინა. წუთიც არ გასულიყო, სტუმართა საჯარიმოში ბულუხია მარჯვნიდან რომ შეიჭრა და ხუთიოდ მეტრიდანაც დაარტყა. გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ბურთი ზედ კარის ხაზთან ლაფოში გაიყინა და ახვლედიანმა შეძლო მისი გამოტანა.

მოკლედ, გურულებმა ტრადიციას არ უღალატეს და პირველ წუთებში მოპოვებული უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. „გურიამ" ზედიზედ ორი საშინაო მატჩი ვერ მოიგო. საყვარელი თუ საძულველი 1:1 კი ამ ჩემპიონატში უკვე მეხუთედ ითამაშა.

**რუსთავი**
**„ფოლადი"**
**22 მარტი**

**რუსთავი 1:0 დილა**

**რუსთავი:** მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, ზ. გვაზავა, კუდინოვი, არზიანი (მიქაძე 65), ჭიაბრიშვილი (სახვაძე 46), ცომაია, ზირაქაძე, ჩუხუა, ყიფიანი, კ. ალადაშვილი (ბოკერია 46)
**დილა:** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, ჩიტაია, ლომიძე, თარხნიშვილი, ნკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ხოხობაშვილი, მარლიშვილი, ხორგუაშვილი, კაიდარაშვილი (შატაკიშვილი 70)
1:0 ჩუხუა (813)
**გაფრთხილება:** ჭანტურია, თარხნიშვილი
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

# ითამაშეთ ათი კაცით

**კობა ინასარიძე** რუსთავიდან

— არა, არა, მსაჯთან არავითარი პრეტენზია არა მაქვს. ეტყობა, შილაკაძემ უკეთ დაინახა და პენალტიც ამიტომ დაგვიდო. ისე კი, შედეგი ლოგიკურია, ძლიერმა გაიმარჯვაო, თქვა მატჩის დამთავრების შემდეგ გორელთა საკმაოდ მშვიდმა თავკაცმა ვაჟა ხაჩირაშვილმა. არადა, მის ადგილას ბევრი ემოციებს აჰყვებოდა და ვინ იცის, თამაშის ბოლო ცხრა წუთი როგორ დამთავრდებოდა. იქნებ მატჩიც შეწყვეტილიყო, რისი წინაპირობაც ერთადერთი გოლიდან ორ წუთში მომხდარი ეპიზოდი გახლდათ: რუსთაველები მოედნის ცენტრში დაჯარიმდნენ. გორელთა კაპიტანმა თარხნიშვილმა შილაკაძეს რაღაც მიაძახა, მანაც უმალ გააფრთხილა. ისედაც ნერვებმოშლილი სტუმრები მსაჯს მისცვივდნენ, დაიწყო საქმის გარჩევა. ხაჩირაშვილმა რომელიღაც სათადარიგო შეგირდს სასწრაფოდ უთხრა, არიქა, მალე გაიხადე, თორემ ფეხბურთელს გაგვიგდებენო. სკამზე მჯდომმა ყური არ ათხოვა, რაღა აზრი აქვს ჩემს თამაშსო. ამასობაში გორელმა გულშემატკივრებმა თავისიანებს შეუძახეს, საერთოდ ნუღარ გააგრძელებთ თამაშს, ხომ ხედავთ, გვწვავენო. გორელებმა პირი გასახდელისკენ იბრუნეს, მაგრამ მოედანი მხოლოდ თარხნიშვილმა დატოვა, რომლის შემცვლელიც მინდორზე აღარც გამოჩენილა. დარჩენილმა ათმა კაცმა კი ბოლო ორი წუთში მასპინძელთა კართან ისეთი შტურმი მოაწყო, გოლის გატანა ნამდვილად ალალი იქნებოდა. თუმცა, ასე არ მოხდა. „რუსთავმა" მეორე წრეში პირველი ქულები მიითვალა, ბრძოლით და ჟინით მოპოვებული. „დილა" კი, ვაჟკაცური, მეტად პერსპექტიული, მაგრამ უფულო და უყურადღებო, შინ დამწუხრებული გაემგზავრა.

გორელებმა გონივრულად ითამაშეს, მასპინძლებმა მწვავედ. სტუმრების მწვრთნელს თავისი აზრი კი აქვს, მაგრამ უფრო ლოგიკური მგონი ფრე იქნებოდა. მასპინძლებმა კარისკენ თითქმის იმდენჯერვე დაარტყეს, რამდენჯერაც „დილამ". უპირატესობაც როდი ჰქონდა „რუსთავს" მეტად თვალშისაცემი. უპენალტოდ არა მგონია, გოლი შეეგდოთ. საგოლე ჯარიმა კი მეტად საეჭვო ვითარებაში დაინიშნა, ბოკერიას საჯარიმოს კუთხესთან ვაჟა თარხნიშვილმა დაასწრო, თუმცა... როგორც შილაკაძემ ჩათვალა, ხელით ითამაშა. ჩუხუამაც აღარ უმტყუნა თავისიანებს. გუშინდელ მატჩში საინტერესო ეგლა გახლდათ, თუ შესვენებამდე ხოხობაშვილის ლამაზ დარტყმულს, მამუკა ქორიძის ბრწყინვალე ნახტომში დაუფლებულ ბურთს და ვეტერანთა ვეტერანის, მალხაზ არზიანის ორ ყუმბარისებურ, მაგრამ უშედეგო ჯარიმას არ ჩავთვლით.



რუსთაველმა მენთეშაშვილმა (№5) გორელ ხოხობაშვილს ბურთი არ დაანება

**ჭიათურა**
**„მაღაროელი"**
**22 მარტი**

**მაღაროელი 1:2 კოლხეთი**

**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, ჩიკვილაძე, ტეფნაძე, მ. გაბრიჭიძე, აბრამიშვილი, შეყლაშვილი, ბუიშვილი, ჯ. სამხარაძე, მელუა, მწყერაშვილი (პ. შეყილაძე 85)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, მიქაბერიძე (ქუტიძე 89), ტორჩინავა, გიორგაძე, გოროზია (დ. მახარაძე 46), ღლანიძე, ნოზაძე (ქუნთელია 87), გიორგობიანი, ჩხენკელი, წივწივაძე, მ. ქობულაძე
1:0 მწყერაშვილი (15), 1:1 მიქაბერიძე (52), 1:2 ღლანიძე (85)
**გაფრთხილება:** ტეფნაძე, გაბრიჭიძე, აბრამიშვილი, მიქაბერიძე
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

# გაჭირვება მაჩვენე და —

**ბესიკ ჯანგავაძე** ჭიათურიდან

მტერს არ უსურვებს კაცი, ჭიათურელთა გუნდს დღე ადგა. განა მარტო ფინანსურ კრიზისშია საქმე. საანგარიშო მატჩის წინ გუნდი ლაზარეთს დაემსგავსა. ალბათ, სეზონის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს გუნდის ლიდერი, სული და გული დავით იობაშვილი. გუნდის შემადგენლობაში არ იყვნენ ტრავმირებული ბარამიძე, ლოლაძე, მენაბდიშვილი, დისკვალიფიცირებული ბიწაძე და კავთელაძე. ასე განსაჯეთ, სათადარიგოთა შორის ოდენ მეკარე თოდაძე და შეყილაძეღა იყვნენ. ასე საგრძნობლად შესუსტებულ გუნდს ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან აბა, რა უნდა გაეწყო. მაგრამ... გაჭირვებაში ჩავარდნილმა ზემოიმერლებმა ისე თავდადებით და ენერგიულად იბრძოლეს, ლამის მინიმუმ ქულას გამოჰკრეს ხელი.

მათი მეტოქე ფოთელი ფეხბურთელები ჭიათურაში სრული საბრძოლო შემადგენლობით ჩამოვიდნენ. არც ფეხბურთელების ნაკლებობას განიცდიდნენ, ის კი არა, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გიორგი სუხიაშვილი სათადარიგოთა შორისაც კი ვერ მოხვდა. მატჩის შემდეგ მიზეზი რომ ვიკითხეთ, ფილიამ გვითხრა, როდესაც ჭიათურაში ჩამოვედით, უპირველეს ყოვლისა მინდორზე შევედი, შევამოწმე, ვნახე, რომ ნიადაგი ძალიან დამძიმებული იყო წვიმების შედეგად, ტექნიკურ ფეხბურთელებს თამაში ძალიან გაუჭირდებოდათ, ამიტომ შემადგენლობაში ბევრი ცვლილებები შევიტანეთ. სუხიაშვილიც სწორედ ამიტომ ვერ მოხვდა განაცხადშიო.

მართალი იყო ფილია, მინდორი მთელი მატჩის განმავლობაში ისე ატალახდა, ბურთის გორება კი არა, უბრალოდ გადაადგილება ჭირდა. თუმცა ამას არც ერთი გუნდის ფეხბურთელები არ შეუშინებია და თითქმის სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთნენ ერთმანეთს. სტუმრებმა თავიდანვე საიმედოდ გადაკეტეს საკუთარი საჯარიმოს მისადგომები და მწვავე კონტრშეტევებზე ააგეს თამაში. პირველივე წუთზე ღლანიძემ დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ გველესიანმა ივარგა, ოთხიოდ წუთში მიქაბერიძემ საჯარიმოს კუთხიდან მოჭრილი დარტყმით ხარიხა შეაზანზარა, წივწივაძის დამატებული თაური კი ზემოდან გადაევლო კარს. მიქაბერიძემ ამის გარდა კიდევ ორჯერ ვერ გამოიყენა რეალურზე რეალური საგოლე მომენტი, ორივეჯერ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ჯერ თვითონვე დაარტყა არაზუსტად, მერე კი გველესიანმა აუღო. მანამდე, მასპინძელთა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევისას მცველთაგან ეულად მიტოვებით ისარგებლა მწყერაშვილმა და შეყლაშვილის ზუსტი პასით ანგარიშიც გახსნა.

მეორე ნახევარში ფოთელთა დამრიგებელი ვა-ბანკზე წავიდა — მცველ გოროზიას ნაცვლად თავდამსხმელი დავით მახარაძე ათამაშა და არც შემცდარა. ფოთელთა გაძლიერებულმა წინა ხაზმა შეტევებს უმატა. შედეგმაც არ დააყოვნა. 52-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან გიორგაძის გამჭოლი გადაცემის შემდეგ მცველებმა ბურთი უხეიროდ მოიგერიეს, ისე, რომ მიქაბერიძეს ცხვირწინ დაუგდეს, მიდი, ჰკაო, არც მიქაბერიძეს უფიქრია დიდხანს და ზუსტი დარტყმით ანგარიში გაქვითა.

ფოთელები აქაოდა ნავსი გავტეხეთო, მასირებულ შტურმზე გადავიდნენ და მასპინძელთა კარს იმდენჯერ შეუქმნეს ხიფათი, ორ თამაშს ეყოფოდა. ორ-ორჯერ მახარაძემ, მიქაბერიძემ და წივწივაძემ ვერ გამოიყენეს აშკარა საგოლე მომენტები. ღლანიძემ კი ხარიხა ერთხელ კიდევ შეაზანზარა საჯარიმო დარტყმით.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, რომ ჭიათურელთა საჯარიმოს მარჯვენა კუთხესთან ჯარიმა დაინიშნა. ბურთთან ისევ ღლანიძე დადგა და ამჯერად საწადელი აისრულა.

**ბოლნისი**
**„თამაზ სტეფანია"**
**22 მარტი**

**სიონი 1:0 თსუ**

**სიონი:** დალაქიშვილი, გ. ჩომახიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, კ. ნიკლაური, მ. სამხარაძე, ტარტარაშვილი, ჯაფარიძე (მ. გოგოლაძე 56), ჯ. ნიკლაური (დ. ბერიძე 63), ტყავაძე, ლ. გაგუა (ზ. ფოფხაძე 77)
**თსუ:** ბათიაშვილი, ყოლბაია, ვერემჩუკი, კობიაშვილი, ხარებავა, შალამბერიძე, გ. გვაზავა (გ. ქორიძე 46), კვიტატიანი, რუსია, კ. მელქაძე, სვანიძე
1:0 შაკიაშვილი (7)
**გაფრთხილება:** კ. ნიკლაური, მელქაძე, ჯაფარიძე, დალაქიშვილი
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

# შაკას თავი

**მამუკა კვანტალიანი** ბოლნისიდან

სტუდენტები ბოლნისს ადრიანად ეწვივნენ. ხმამაღლა არ აცხადებდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, გულში სამი ქულის მოპოვება ამოეჭრათ. თუ რეალურ სიტუაციას გავითვალისწინებთ, თსუ-ს გამარჯვება სულაც არ იქნებოდა გასაკვირი. მიზეზსაც ახლავე მოგახსენებთ: მოსამზადებელ პერიოდში „სიონი" უმოქმედოდ იდგა. მეორე წრის საწყის მატჩში კი ბათუმელებთან გამარჯვებას უდიდესი ენერგია შეალია. სწორედ ძალაგამოლეულები ეწვივნენ ბოლნისელები ფოთს და კიდეც წააგეს. ვერც სტუდენტებს დაუხვდნენ მოჭარბებული ძალებით. მეორე ტაიმის მეათე წუთიდან სირბილის თავი აღარ ჰქონდათ. მეტოქის უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ...

თამაშის დაწყებამდე ოთარ გაბელია და კლუბის სხვა წარმომადგენლები ბოლნისის სასაფლაოზე ავიდნენ, რათა პატივი მიეგოთ ტრაგიკულად დაღუპული მეკარის, თეიმურაზ სტეფანიას ხსოვნისთვის, რომლის სახელსაც ატარებს ბოლნისის სტადიონი.

სტუმრები ორივე ტაიმის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ, სახიფათო მომენტი მხოლოდ ორი შექმნეს. მასპინძლებმა ერთადერთი შესაძლებლობა გამოიყენეს — ტყავაძის ჩაწოდებულ კუთხურს არჩილ შაკიაშვილმა სწორი პოზიცია შეურჩია და ბურთი ბათიაშვილის კარის ბადეში შეაგდო. ეს მეშვიდე წუთზე მოხდა. სტუმართა მცველებიცა და მეკარეც შეცდნენ.

ბოლნისელებს მეტოქის კართან დანიშნული ყოველი კუთხური თერთმეტმეტრიანივით უხარიათ, საჯარიმოში შაკა ჩავა და გოლს გაიტანსო. მალხაზმა თავით თამაში რომ იცის, გუშინაც დაამტკიცა.

სტუდენტებმა მოინდომეს, ხისტადაც ათამაშდნენ, მაგრამ ვერ იხეირეს. განსაკუთრებით ინტერესს კახა წიკლაურისა და ლაშა ყოლბაიას დუელი იწვევდა. ესენი მთელი თამაშის მანძილზე ჭიდაობდნენ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მოგვერდი, ბიჭო, მოგვერდი გაუკეთე, ასწავლიდნენ ბოლნისელი გულშემატკივრები თავისიანს, მაგრამ სტუმრის არსენალში მეტად მრავალფეროვანი ილეთები აღმოჩნდა და დუელიც ყოლბაიამ მოიგო, მისმა გუნდმა კი ვერა.

ტაიმის შუაში ყოლბაია კვლავ დაუსხლტა მეურვეს, კარგადაც ჩააწოდა, მაგრამ შალამბერიძემ ახლოდან ააცილა. მეორედ მეორე ტაიმში შეუქანდათ გული მასპინძლებს. კვიტატიანმა ბურთიანად იარა, საჯარიმოს მისადგომებთან მისულმა დალაქიშვილის არასწორი პოზიცია შენიშნა და ახლო კუთხეში დაარტყა. მეკარემ პირველი ნახტომით ბურთი მოიგერია, ხოლო განმეორებითით რუსიას ფეხიდან ააცალა ბურთი.

დანარჩენი დრო ბურთის აღმა-დაღმა მოგერიებაში გაილია. ბოლნისელები დროის გაყვანის ტაქტიკასაც ხშირად მიმართავდნენ, განსაკუთრებით მათი მეკარე, რისთვისაც მსაჯისგან ყვითელი ბარათიც დაიმსახურა მატჩის ბოლო წუთებზე. მაგრამ ლაცაბიძეს იგივე ადრე რომ გაეკეთებინა, უფრო სამართლიანი იქნებოდა.

სხვა რა უნდა ვთქვათ. „სიონმა" ზედიზედ მეორე საშინაო თამაში მოიგო და დროებით მაინც გადაასწრო „სამგურალს". ვნახოთ, წყალტუბოში დღეს თამაში როგორ მორჩება. ისე ბოლნისელებმა შვება რომ იგრძნეს, ეს ფაქტია. ახლა 29 მარტამდე დაისვენებენ, ძალებს აღიდგენენ და მერე ზედიზედ ორი თამაშის მოგებასაც აპირებენ. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო, დიდი ხანი არ მოგვიწევს ლოდინი.

# მავნე გერმანელები

## გერმანია

XXVII ტური

**ვერდერი 3:1 ვოლფსბურგი**

1:0 ჰ. ფლო (45), 2:0 ა. კუნცი (61), 2:1 დემეჯრი (64პ), 3:1 ჰ. ფლო (84)

**ჰანზა 2:1 დუისბურგი**

1:0 მაიაკი (29), 1:1 სალუ (61), 2:1 პამიჩი (87)

**კარლსრუე 0:1 ჰამბურგი**

0:1 პანადიჩი (60)

**მიუნხენი 2:0 გლადბახი**

1:0 ჰობში (45), 2:0 უაკილი (54)

**შტუტგარტი 0:3 ბაიერნი**

0:1 ფინკი (17), 0:2 შოლი (40), 0:3 ციკლერი (78)

საერთოდ, თუ რაიმე განსაკუთრებული მოვლენა არ მოხდა გერმანიაში და სხვა ნორმალურ ქვეყნებში, საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი შეუფერხებლად იმართება სეზონის დასაწყისში ფეხბურთის კავშირის, ფედერაციის ან ასოციაციის მიერ დადგენილ დღეს. კაცმა რომ თქვას, რახან თამაშის ვადა ცნობილია, იგი უნდა გაიმართოს კიდეც, მაგრამ ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით ხომ არ მოეკიდებიან საქმეს? გერმანელებზე რომ დაგცდეს, უდისციპლონონი არიანო, უმალ არაობიექტურობაში დაგადანაშაულებენ და მართალიცაა — გერმანელები მართლაც ზეპუნქტუალური ხალხია. აქედან გამომდინარე, ცოტა უცნაურიც იყო, ბუნდესლიგის მორიგი ტურის რამდენიმე შეხვედრა რომ გადაიდო. ექვები თავად გერმანელებმა გაფანტეს — თურმე თავქარიან თანამემამულეებს ტერორისტული აქტისმაგვარის მოწყობა განეზრახათ და რადიაქტიული ნარჩენები ჰაერში გაეშვათ — იქ გერმანიაში უმალ ყველაფერს მიხვდნენ, ზოროტმოქმედება დროზე ალკვეთეს და ხალხიც გააფრთხილეს, ეცადეთ, შინიდან არ გახვიდეთო. რამდენიმე მატჩი სწორედ ზემოხსენებულ მიზეზის გამო არ გაიმართა, ხოლო ის თამაშები, რომლებიც მაინც ჩატარდა, მაყურებელთა სიმრავლით აშკარად ვერ დაიკვეხნიდა — ზოგიერთ მატჩს ათასი-ათას ხუთასი გულშემატკივარი ესწრებოდა, მაშინ, როცა მშვიდობიან დღეებში მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულ ათას კაცს აღწევს.

ერთი სიტყვით, ტერორისტებმა თუ მისთანებმა ერთობ ააფორიაქეს გერმანელები, ქვეყანას კი ძალიან ავნეს, მათ შორის, ფეხბურთსაც. როგორია, გაჭედილი ტრიბუნების წინ თამაშნაჩვევი გუნდი ცარიელ სტადიონზე გაისარჯოს? — დამეთანხმებით, ამაში კარგი არაფერია, ეს გარკვეულწილად მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ განწყობაზე და თამაშის სანახაობრივ მხარეზეც მოქმედებს. ამ შაბათ-კვირასაც დაახლოებით ასე მოხდა და ამის გამო ფეხბურთმა და გულშემატკივრებმა ერთობ იზარალეს. ბუნდესლიგის ეს ტური, თამამად შეიძლება ითქვას, სანახაობრივი თვალსაზრისით არაფრად ვარგოდა — არც ერთი მატჩი არ მოგტაცებდათ თვალს, ერთი ეგ იყო, აქაიქ საინტერესოც გამოერეოდა.

შაბათს ჩატარებული ოთხი მატჩიდან, თუ „კარლსრუეს“ შინ დამარცხებას არ ჩავთვლით, ალოგიკური არაფერი მომხდარა. თითქმის თანაბარი ძალის მეტოქეთა შეხვედრებში მასპინძლებმა იმარჯვეს, კარლსრუეში კი...

— გუნდის თავდამსხმელი შონ დანდი დაახლოებით ერთი თვე ველარ ითამაშებს. მან პარასკევს, ვარჯიშზე მარჯვენა მუხლის მყესები დაიზიანა — ეს განცხადება „კარლსრუეს“ პრეს-ატაშე ჰანს დობერტს ეკუთვნის. არავინ იცის, გაგერმანებულებული სამხრეთაფრიკელი თავდამსხმელის მოსაკლისებამ დაამწუხრა კარლსრუელები თუ სხვა რამ, მაგრამ ფაქტია, რომ მასპინძლებმა ტომას ჰესლერის კაპიტნობით მათსავით კრიზისში მყოფ „ჰამბურგთან“ ვერაფერი გააწყვეს. „კარლსრუე“, რომელმაც ამ სეზონში უეფას თასზე თამაშიც მოასწრო, გუნდს არ ჰგავდა — მას აკლდა სითამამე და საფეხბურთო განწყობა, რაც ასე საჭიროა გამარჯვების მისაღწევად. ამიტომაც იყო, შეცვლაზე შესულ ჰამბურგელ ანდრეი პანადიჩს გადამწყვეტი გოლის შეგდება მაინცდამაინც რომ არ გასჭირვებია.

ბრემენში ადგილობრივმა „ვერდერმა“ სრულიად იოლად სძლია „ვოლფსბურგს“. მასპინძელთა გამარჯვება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს მომავალი მეტოქის, ნორვეგიის ნაკრების ერთ-ერთმა თავდამსხმელმა, ჰავარდ ფლომ განაპირობა. სკანდინაველმა ბუნდესლიგის დებიუტანტს შესვენებამდელი ტაიმის ბოლო წუთზე აწკინა გული, მეორე ტაიმში კი, აქაოდა ანგარიში გავხსენიო, ყველაფერი თავადვე დააგვირგვინა.

გაჭირვებულთა კიდევ ერთ დუელში, რომელიც მიუნხენში გაიმართა, იქაურმა ათასრვაასსამოცელებმა ერთ დროს გერმანიის უძლიერესი გუნდი — მიონხენგლადბახის „ბორუსია“ დაიბრიყვეს. 70-იან წლებში უეფას თასის ორგზის მომგები სტუმრები პირველ ნახევარში დომინირებდნენ, ერთი ეგ იყო, გოლი ვერ გაჭქონდათ, აი, მასპინძელთა ვეტერანმა თავდამსხმელმა, ექს-ბრემენელმა ბერნდ ჰობშმა კი პირველი ტაიმის ბოლო წამებზე იხეირა. მეორე გოლი ირანელმა უაკილიმ შეაგდო.

როსტოკში მასპინძლებმა მოიგეს და სამომავლოდ უეფას თასისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს. შესაძლოა, „ჰანზას“ ვერც გაემარჯვა, მწვრთნელს ხორვატი იგორ პამიჩი დროზე რომ არ



REUTERS მიუნხენიდან

მიუნხენი — გლადბახი. ეფენბერგის (მარცხნივ) და კიდევ ათი გლადბახელის ძალისხმევა ამაო გამოდგა.

ჩაერთო თამაშში.

...გუშინ ბუნდესლიგის ლიდერ „კაიზერსლაუტერნს“ ბილეფილდის „არმინიასთან“ უნდა ეთამაშა. შეხვედრა იმ მიზეზით გადაიდო, თავში რომ ვთქვით და 29 აპრილს გაიმართება. შაბათს „კაიზერსლაუტერნის“ წარმომადგენელმა ჰერბერტ ბუხმა განაცხადა, თავდამსხმელი რატინიო დაგვიშავდა და ექვსი კვირა დაისვენებსო.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 26 | 17 | 6 | 3 | 49:27 | 57 |
| ბაიერნი | 27 | 15 | 6 | 6 | 52:30 | 51 |
| ლევერკუზენი | 26 | 12 | 10 | 4 | 52:30 | 46 |
| შალკე | 26 | 11 | 11 | 4 | 32:22 | 44 |
| შტუტგარტი | 27 | 11 | 8 | 8 | 44:37 | 41 |
| ჰანზა | 27 | 11 | 6 | 10 | 39:34 | 39 |
| ვერდერი | 27 | 10 | 8 | 9 | 35:41 | 38 |
| დორტმუნდი | 26 | 9 | 8 | 9 | 45:41 | 35 |
| დუისბურგი | 27 | 9 | 8 | 10 | 34:36 | 35 |
| ჰერტა | 26 | 9 | 6 | 11 | 31:42 | 33 |
| ბოხუმი | 26 | 8 | 7 | 11 | 30:37 | 31 |
| კიოლნი | 26 | 9 | 4 | 13 | 41:50 | 31 |
| მიუნხენი | 27 | 8 | 7 | 12 | 34:45 | 31 |
| ჰამბურგი | 27 | 7 | 9 | 11 | 30:38 | 30 |
| ვოლფსბურგი | 27 | 8 | 5 | 14 | 32:42 | 29 |
| კარლსრუე | 27 | 7 | 8 | 12 | 37:48 | 29 |
| გლადბახი | 27 | 6 | 9 | 12 | 42:49 | 27 |
| არმინია | 26 | 7 | 4 | 15 | 33:43 | 25 |

### მეორე ბუნდესლიგა

23-ე ტური. ზანქტ პაული — დიუსელდორფი 3:1; მაინცი — ფორტუნა 2:2; უნტერჰახინგი — კიკერსი 2:0; მეპენი — კოტბუსი 3:1; ფიურტი — ვატენშაიდი 0:0; კარლ ცაისი — ლაიპციგი და გიუტერსლო — ცვიკაუ გადაიდო, აინტრახტი — ფრაიბურგი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 23 | 14 | 2 | 7 | 34:21 | 44 |
| აინტრახტი | 22 | 12 | 7 | 3 | 33:20 | 43 |
| ფრაიბურგი | 22 | 12 | 3 | 7 | 38:27 | 39 |
| ზანქტ პაული | 23 | 9 | 9 | 5 | 29:24 | 36 |
| გიუტერსლო | 22 | 8 | 10 | 4 | 25:19 | 34 |
| ურდინგენი | 23 | 9 | 7 | 7 | 24:22 | 34 |
| უნტერჰახინგი | 23 | 8 | 8 | 7 | 29:20 | 32 |
| დიუსელდორფი | 23 | 8 | 7 | 8 | 37:36 | 31 |
| კოტბუსი | 23 | 6 | 11 | 6 | 25:24 | 29 |
